

34 (05)

ს-99



საქართველოს სოც.



საზოგადოებრივი განათლების მინისტრის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# პანონთა და პანაკრებულეგათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს

სამმართველოს გამოსცემა

1933 წ. თებერვლის 25.

№ 2

მუშაობის

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სახელმწიფო წყობილება.

27. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დებუტატების საბჭოების დებულების 42-45 მუხლების შეცვლისა და ამავე დებულებისათვის 45-45 მუხლებში დამატების შესახებ.

28. საქალაქო საბჭოების სადებუტატო უფლებების დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება საქალაქო საბჭოების სადებუტატო უფლებების შესახებ.

29. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში სავსაო განყოფილებების მოწყობის შესახებ.

### მ რ ე წ ე ე ლ ო ბ ა .

30. ზემო-აგვალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დატვირთვის მოწყობისათვის ღონისძიებათა შესახებ.

31. სარეწაო კოპერაციის საერთოეერთო და-ზღვევისა და საერთოეერთო დახმარების საღა-ზროების შესახებ.

### მიწა, ტყე, წყალი, სოფლის მეურნეობა.

32. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სა-ხალხო კომისარიატისათვის წყალთა სარგებლო-ბის შესისა და წყალსამეურნეო ნაგებობათა და მათ დამინარე გამოარულობათა დაკვის საკით-ხების თაობაზე საეალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ.

33. წყალთა მეურნეობის სამმართველოს რე-ორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ.

### ვაჭრობა, მიწარეება.

34. სამინდფე გამოსაღების წესების დარღვევი-სათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

35. 1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის დამზადების შესახებ.

### კავშირგაბმულობა.

36. ნათურაში მიმღებებისა, რადიო-ტრანს-ლაციის კვანძებისა და მიმღებ-გადამცემი რადიო-სადგურების საეალდებულო რეგისტრაციის შე-სახებ.

### კომუნალური და სახინაო მეურნეობა.

37. საბინაო-სასანიტარო ნორმის შესახებ.

38. კომუნალური საცხოვრებელი ფონდის თაო-ბაზე გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის შეცვლისა და ამავე დადგენილებისათვის 7- მუხ-ლის დამატების შესახებ.

39. საცხოვრებელი სადგომების თაობაზე გამო-ცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ის დგარეტის ძალდაცარგულად ხათელის შესახებ.

40. „ნაციონალიზაციაკმნილი და მუნიციპალიზაციაკმნილი შენობების განაწილებისა და სარგებლობის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

41. „სარეწაო კოოპერატიული არტელების და ამზანაგობებისა და აგრეთვე შინამრეწველების და ხელოსნებისათვის სადგომების დაჭირაების შეღავათების თაობაზე გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლისათვის „დ“ პუნქტის დამატების შესახებ.

42. „შუალღესი საწავლებლების სტუდენტთა სერთო საცხოვრებლებში ცხოვრებისათვის გადასახდებიანი სასყიდლის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

შ რ ო შ ა.

43. შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაკლად ბარიტის მრეწვე-

ლობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელის რაოდენობის შესახებ.

44. კადრების მომზადებელი სასწავლებლების სასტაციონარო ქსელის საკონტროლო აღწესების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

45. „საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

46. კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილების სამთო-სასანიტარო დაცვის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილების სამთო-სასანიტარო დაცვის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

27. დადგენილება ც.ა.კ.

ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დებულებების საბჭოების დებულების 42—45 მუხლების შეცვლისა და ამავე დებულებისათვის 45<sup>1</sup>—45<sup>2</sup> მუხლების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დებულებების საბჭოების დებულების 42, 43, 44 და 45 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 18) შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

„42. ქალაქის მმართველობისა და მეურნეობის ცალკეული დარგების სა-მუშაოთა შესასრულებლად საქალაქო საბჭოებთან ეწყობა განყოფილებები და არსებმა საქალაქო ინსპექტორების თანამდებობები“.

„43. ტფილისის საქალაქო საბჭოსთან ეწყობა შემდეგი განყოფილებები: ა) საორგანიზაციო, ბ) კომუნალური, გ) მომარაგებისა, დ) საფინანსო, ე) შრომისა და კადრების, ვ) სახალხო განათლებისა, ზ) ჯანმრთელობისა, თ) სოციალური უზრუნველყოფისა, ი) საგეგმო კომისია და კ) საქალაქო მუშათა და გლეხთა ინსპექცია“.

„44. ქუთაისის, ფოთის, ბათუმის და სოხუმის საქალაქო საბჭოებთან ეწყობა განყოფილებები: ა) საორგანიზაციო, ბ) კომუნალური, გ) საფინანსო, დ) სახალხო განათლებისა, ე) ჯანმრთელობისა, ვ) საგეგმო კომისიის და ვი) საქალაქო მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

გარდა ამისა აღნიშნული ქალაქების საბჭოებთან განწყობებულია საქალაქო ინსპექტორები: ა) მომარაგებისა, ბ) საგზაო მეურნეობისა, გ) შრომისა, დ) სოციალური უზრუნველყოფისა და ე) ფიზკულტურისა“.

„45. რაიონში შემავალ საქალაქო საბჭოებთან ეწყობა კომუნალური და საფინანსო განყოფილებები და არსებობენ საქალაქო ინსპექტორები: ა) მომარაგებისა, ბ) საგზაო მეურნეობისა, გ) სახალხო განათლებისა და დ) ჯანმრთელობისა.

**შენიშვნა.** ამ მუხლში აღნიშნული საქალაქო საბჭოების სამუშაოთა შესრულება შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგებში ეკისრება სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტორებს“.

2. ზემოაღნიშნულ დებულებას დაემატოს 45<sup>1</sup>—45<sup>2</sup> მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„45<sup>1</sup>. გარდა 43—45 მუხლებში აღნიშნული განყოფილებებისა და ინსპექტორებისა ყველა საქალაქო საბჭოსთან განწყობებულია მუშათა და გლეხთა მილიციის სამმართველო, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება მილიციის ზემდგომ ორგანოს, მაგრამ იმავე დროს ცალდებულა თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს საქალაქო საბჭოს დირექტივებით.

ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის და სოხუმის საქალაქო საბჭოებთან განწყობებულია აგრეთვე სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტურა“.

45<sup>2</sup>. ქალაქებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებისა, მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტურის მოწყობა განისაზღვრება სსრ კავშირის, აკუსტრ-ის და საქართველოს სსრ-ის სპეციალური კანონმდებლობით“.

„45<sup>3</sup>. გარდა 43—45 მუხლებში აღნიშნული განყოფილებებისა და ინსპექტორებისა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქალაქო საბჭოსთან შეიძლება დაარსებულ იქნეს სხვა განყოფილებაც და საქალაქო ინსპექტორის თანამდებობა“.

„45<sup>4</sup>. ქალაქის საბჭოს განყოფილებათა სათავეში დგანან განყოფილებათა გამგეები.

განყოფილებათა გამგეებს და საქალაქო ინსპექტორებს ნიშნავს და უკან იწვევს ქალაქის საბჭო, რასაც რაიონში შემავალი ქალაქის საქალაქო საბჭო აცნობებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებას და ინსპექტორს, ხფლო დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭო—სათანადო ცენტრალურ ორგანოს, რომელთაც უფლება აქვთ განდგინება განაცხადონ განყოფილების გამგის და ინს-

პექტორის დანიშვნის დროს და აგრეთვე პროტესტი განაცხადონ მათი თანამდებობიდან განთავისუფლების დროს.

შეთანხმებლობის შემთხვევაში საკითხს გადასწყვეტს სათანადო ავტორიტეტის მქონე აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი\*.

„45“. საქალაქო საბჭოს განყოფილებათა გამგეები და ინსპექტორები პასუხისმგებელი არიან თავიანთი მუშაობისათვის და ყველა მათი ქვემდებარე დაწესებულებისა და საწარმოს მუშაობისათვის როგორც საქალაქო საბჭოს წინაშე, ისე სათანადო ზემდგომ ორგანოს წინაშე.

განყოფილებათა გამგეებისა და ინსპექტორების განკარგულება შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ და შეწერებულ იქნეს საქალაქო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ და აგრეთვე სათანადო ზემდგომი ორგანოს მიერ\*.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1932 წ. დეკემბრის 22.

ტფილისი.

**28. დადგენილება ც.ა.კ.**

**საქალაქო საბჭოების სადებუტატო ჯგუფების დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იდგენს: დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქვემოთდევნი დებულება საქალაქო საბჭოების სადებუტატო ჯგუფების შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრაია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**საქალაქო საბჭოების სადებუტატო ჯგუფების შესახებ.**

**I. ზოგადი დებულებანი.**

1. საქალაქო საბჭოების სადებუტატო ჯგუფები საწარმოებსა და დაწესებულებებში არიან საქალაქო საბჭოების ძირეული უჯრედები მასური მუშაობის ხაზით. ამ ჯგუფების მეშვეობით საქალაქო საბჭოები ანხორციელებენ ყოველდღიურ კავშირს ამომრჩევლებთან და აბაშენ მშრომელთა ფართო მასებს სა-

ბჭოების იმ პრაქტიკულ მუშაობაში, რომელსაც ისინი ეწევიან სოციალისტური მშენებლობის მორიგი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

2. სადებუტატო ჯგუფები ეწყობა ქარხნებსა და ფაბრიკებში, რკინის გზის ტრანსპორტსა და სხვა საწარმოებში, საბჭოთა დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც საქალაქო საბჭოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, უკეთეს მათში არის საქალაქო საბჭოს ან ქალაქის სარაიონო საბჭოს არა ნაკლებ ორი წევრისა.

3. საბჭოთა დაწესებულებებსა, წითელი არმიის ნაწილებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სადებუტატო ჯგუფები ეწყობიან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც დაარსებულია სარაიონო საბჭოები, — სათანადო ქალაქის სარაიონო საბჭოს პრეზიდიუმის განსაკუთრებული დადგენილებით.

4. მსხვილ საწარმოებში, საერთო საქარხნო სადებუტატო ჯგუფის გარდა, საქალაქო საბჭოს (ან ქალაქის სარაიონო საბჭოს) პრეზიდიუმის დადგენილებით შერძლება მოეწყოს საცეხო სადებუტატო ჯგუფი, რომელიც იმოქმედებს საერთო საქარხნო ჯგუფის ხელმძღვანელობით.

უფრო მცირე საწარმოებში, სადაც საცეხო ჯგუფის მოწყობა შეუძლებელია, ცალკეულ ცეხებში აირჩევიან სადებუტატო ჯგუფის საცეხო რწმუნებულნი.

5. იმ საწარმოში და დაწესებულებაში, სადაც მხოლოდ ერთი დებუტატია, უკანასკნელი ჩაითვლება რწმუნებულად საბჭოთა მუშაობის დარგში.

6. სადებუტატო ჯგუფები ასრულებენ შემდეგ ძირითად ამოცანებს:

ა) ანხორციელებენ საქალაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) ღონისძიებებს მშრომელთა ფართო მასების ჩასამხელად საწარმოთა და დაწესებულებათა საწარმოო მუშაობის მმართველობაში;

ბ) ახდენენ მუშათა კლასის აქტივობის მობილიზაციას და რაზმადენ ამ აქტივობას ტექნიკის დაუფლებისა და საწარმოს სამრეწველო-საფინანსო გეგმის განხორციელებისათვის, და აგრეთვე დაწესებულების მუშაობის გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად;

გ) აწყობენ მასურ ფაქტიურ კონტროლს იმისათვის, რომ შესრულებულ იქნეს პარტიის და მთავრობის დირექტივები, რომ განხორციელდეს კლასობრივი პროლეტარული პოლიტიკა უწყებელი საწარმოს თუ დაწესებულების მოქმედებაში, რომ შესრულდეს საქალაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) დადგენილებანი, რაც ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულებას შეეხება, და რომ საქალაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) განყოფილებებმა და ყველა მათ ქვემდებარე საწარმომ და დაწესებულებამ განახორციელონ ამომრჩეველთა დავალებანი;

დ) უწყვენ პრაქტიკულ დახმარებას საბჭოების და საბჭოთა ორგანოების მუშაობას უწყებელი საწარმოს ან დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა მომა-

რეგების გაუმჯობესებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში;

ე) ამაგრებენ საბჭოების ყოველდღიურ კავშირს ამომრჩეველთა თანხორ მასებთან და აბამენ მათ საბჭოების მთელს მუშაობაში;

ვ) ანხორციელებენ ღონისძიებებს მუშებისაგან საბჭოთა კადრების მოსამზადებლად (სოციალისტური შემთავსებელნი, შტატგარეშე ინსტრუქტორები და სხვ.).

## II. სადებუტატო ჯგუფების ორგანიზაცია.

7. სადებუტატო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან უწყებულ საწარმოში ან დაწესებულებაში მომუშავე: საქალაქო საბჭოს (და საქალაქო სარაიონო საბჭოს) წევრები და კანდიდატები, საბჭოების სექციის წევრები, ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტების წევრები და კანდიდატები, სახალხო მსაჯულნი, საწარმო-საამხანაგო სასამართლოების წევრები და ადგილობრივი პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელნი.

ამის გარდა, სადებუტატო ჯგუფის შემადგენლობაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის წესით შედიან იმავე საწარმოში თუ დაწესებულებაში მომუშავე წევრები მილიციის დამხმარე საზოგადოებისა, წევრები სახელმწიფო კრედიტის დამხმარე კომისიისა, წევრები იმ ბრიგადებისა, რომელნიც მუშაობენ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებში, მათთვის შეფობის გაწევის წესით, დამკვრელი მუშები და სხვ.

8. სადებუტატო ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს საქალაქო საბჭოს (ან საქალაქო სარაიონო საბჭოს) პრეზიდიუმი.

სადებუტატო ჯგუფის პლენუმის სხდომაზე ყველა წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

9. სადებუტატო ჯგუფი ეწყობა საბჭოს უფლებამოსილობის ვადით და მოქმედობს საბჭოს შემდგომი არჩევის დამთავრებამდე.

10. სადებუტატო ჯგუფის პლენუმი საბჭოს წევრების და კანდიდატების რიცხვიდან ირჩევს სადებუტატო ჯგუფის თავმჯდომარეს.

იმავე შემადგენლობიდან პლენუმი ირჩევს სადებუტატო ჯგუფის ბიუროს სამი-ხუთი კაცისაგან. სადებუტატო ჯგუფის თავმჯდომარე იმავე დროს ჯგუფის ბიუროს თავმჯდომარეა.

სადებუტატო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიაც ათ წევრზე ნაკლებია, არ აწყობს ბიუროს, არამედ ირჩევს მხოლოდ სადებუტატო ჯგუფის თავმჯდომარეს.

შენიშვნა. საცებო სადებუტატო ჯგუფის თავმჯდომარე და ბიურო ირჩევა ამ მუხლში აღნიშნული წესისამებო.

11. სადებუტატო ჯგუფის ბიუროს შემადგენლობას და თავმჯდომარეს ამტკიცებს საქალაქო საბჭოს (ან საქალაქო სარაიონო საბჭოს) საორგანიზაციო განყოფილება, ხოლო იქ, სადაც საორგანიზაციო განყოფილება არ არის, —სათა-

ნადო საბჭოს პრეზიდიუმი. სადემუტატო ჯგუფის თავმჯდომარეს და ბიუროს წევრებს უკან იწვევს სადემუტატო ჯგუფის პლენუმი იმავე ორგანიზაციის შემადგენლობით.

12. სადემუტატო ჯგუფის ბიუროს და თავმჯდომარეს ეკისრება:

ა) რეგულარულად მოიწვიონ ჯგუფის პლენუმი და მოამზადონ ის საკითხები, რაც პლენუმს უნდა წარედგინოს გადასაწყვეტად;

ბ) შეიმუშაონ სადემუტატო ჯგუფის მუშაობის გეგმა, შეუთანხმონ იგი ადგილობრივ ორგანიზაციებს, შეიტანონ სადემუტატო ჯგუფის პლენუმში დასამტკიცებლად და თვალყური ადევნონ მის შესრულებას;

გ) გაანაწილონ მოვალეობა სადემუტატო ჯგუფის წევრებს შორის, მოაწყონ ბრიგადები და წარედგინონ სათანადო პროექტი დასამტკიცებლად ჯგუფის პლენუმს;

დ) მოაწყონ საბჭოს სადემუტატო ჯგუფის წევრების საანგარიშო მოხსენებანი, მოაწყონ მორიგეობა და სხვ.;

ე) აღრიცხონ ჯგუფის მუშაობა და მოაწყონ მისი საქმისწარმოება, აღრიცხონ ჯგუფის წევრების მუშაობა;

ვ) შეამოწმონ ამომრჩეველთა დავალებების, სადემუტატო ჯგუფის გადაწყვეტილებების, აგრეთვე საქალაქო საბჭოს (და საქალაქო სარაიონო საბჭოს) და ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესრულება;

ზ) აღრიცხონ საბჭოთა აქტივი და მისი მუშაობა;

თ) განახორციელონ მუდმივი კავშირი სათანადო საბჭოსთან, საბჭოს სექციებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან; წარადგინონ საბჭოში ანგარიშები, ცნობები და სადემუტატო ჯგუფის თათბირების ოქმები.

13. სადემუტატო ჯგუფის წევრები არ თავისუფლდებიან საწარმოო მუშაობისაგან და ასრულებენ თავის მოვალეობას საზოგადოებრივი დატვირთვის წესით.

14. სადემუტატო ჯგუფების მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს საქალაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) პრეზიდიუმი.

ამ ხელმძღვანელობის განსახორციელებლად საქალაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) პრეზიდიუმი:

ა) სისტემატურად უწევს ინსტრუქტირებას სადემუტატო ჯგუფებს როგორც საშტატო, ისე შტატგარეშე სპეციალური ინსტრუქტორების მეშვეობით;

ბ) იწვევს პერიოდულად სადემუტატო ჯგუფების თავმჯდომარეების და ბიუროების თათბირებს;

გ) ამაგრებს პრეზიდიუმის წევრებს და ინსტრუქტორებს სადემუტატო ჯგუფებზე;

დ) იკვლევს ცალკეული სადემუტატო ჯგუფების მუშაობას და ისმენს მოხსენებებს ამ მუშაობის შესახებ;

ე) სწყვეტს ისეთ საკითხებს, რომლებიც საერთოა საბჭოს ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე ან ყველა სადემუტატო ჯგუფისათვის.

### III. საღებუტატო ჯგუფების გამგებლობის საგანი.

15. სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების სფეროში საღებუტატო ჯგუფები:

ა) ანხორციელებენ საბჭოთა აქტივის მობილიზაციას წარმოების დაკვირვით ტემპებისათვის საბრძოლველად და სამრეწველო-საფინანსო გეგმების რაოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადამეტებით შესასრულებლად;

ბ) ანხორციელებენ სათანადო ღონისძიებებს იმისათვის, რომ საბჭოთა აქტივი და საწარმოს მუშები ზოგად ჩაბმულ იქნენ სოცშეჯიბრებასა და დამკერველობაში;

გ) მონაწილეობას იღებენ საწარმოს სამრეწველო-საფინანსო გეგმის შემუშავებაში და ხელს უწყობენ იმას, რომ მუშებმა გამოიჩინონ ინიციატივა და წამოაყენონ შემხვედრი სამრეწველო-საფინანსო გეგმა;

დ) ანხორციელებენ კონტროლს იმისათვის, რომ სამრეწველო-საფინანსო გეგმა დაყვანილ იქნეს ცეხამდე, საწარმოო უბნამდე, ბრიგადამდე, დარგამდე და ცალკეულ მუშამდე, და რომ ეს გეგმა შესრულებულ იქნეს;

ე) მონაწილეობას იღებენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რაც უზრუნველყოფს საწარმოს რეგულარულ მომარაგებას ნედლეულით, სათბობით, ნახევარ-ფაბრიკატებით და მოწყობილობით და აგრეთვე საწარმოს შინაგანი რესურსების მობილიზაციას, სათბობისა და მასალის ეკონომიას;

ვ) ეწევიან ბრძოლას მუშა-ძალის შევროებისა და გამოყენების სწორი ორგანიზაციისათვის, წარმოებაში ქალთა შრომის და ახალგაზრდობის შრომის გავრცელებისათვის, შრომის სასყიდლის გათანაბრებისა და წარმოების მმართველობაში გაუპირიზების ლიკვიდაციისათვის;

ზ) აბამენ მუშათა მასებს სწავლებაში ტექნიკის დაუფლებისათვის, ხელს უწყობენ სათანადო ღონისძიებათა განხორციელებას საწარმოო პროცესების გასაუმჯობესებლად და მუშათა წინადადებების გამოსაყენებლად;

თ) პრაქტიკულად იღებენ მონაწილეობას და ეხმარებიან სამეურნეო ორგანიზაციებს იმ ღონისძიებათა შემუშავებაში და შესრულებაში, რაც უზრუნველყოფს ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის გატარებას და წარმოებაში ერთ-მმართველობის განმტკიცებას;

ი) ანხორციელებენ საბჭოთა აქტივის და საწარმოს და დაწესებულების ყველა მონაწილეთა ყურადღების მობილიზაციას შრომის ნაყოფიერების გადოდებისა და პრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მუშაობის ვაცდენის და მუშა-ძალის დენადობის ლიკვიდაციისათვის;

კ) აწყობენ მუშაობას, საწარმოს სათანადო ორგანიზაციებთან ერთად, მეორე ხელწოდების ვაშლილი გეგმის შესადგენად და უზრუნველყოფენ ამ მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობას.

16. მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაუმჯობესების საქმეში სადებუტატო ჯგუფები:

ა) ეწევიან ბრძოლას იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს მუშათა მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით, რომ უკეთ მოეწყოს პროდუქტების განაწილების სისტემა და გაუმჯობესდეს მუშათა დახურული კოოპერატივების, მუშათა სასაბჭოების და სხვ. მუშაობა;

ბ) მონაწილეობას იღებენ საწარმოების მუშათა მომარაგების განყოფილებებთან მოწყობილი მუშათა მომარაგების თათბირების, მუშათა სასაბჭოების კონისიების და სხვ. მუშაობაში;

გ) ხმარობენ ღონისძიებებს მუშა-მოსამსახურეთა საბინათ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) ანხორციელებენ კონტროლს და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ იმ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობას, რომელნიც მომსახურეობას უწევენ ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების მომუშავეებს; განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მოეწყოს მუდმივი საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები, მოედნები და სხვ.;

ე) კონტროლს უწევენ იმ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების ნაგებობათა მშენებლობას და გამოყენებას, რომელნიც დანიშნული არიან ამა თუ იმ საწარმოს და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა მომსახურეობისათვის;

ვ) ხელს უწყობენ წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციას საწარმოს ფარგლებში და საწარმოზე მიმავრებული სკოლების პოლიტექნიზაციას.

17. მასური საბჭოთა მუშაობის განვითარების სფეროში სადებუტატო ჯგუფები:

ა) აწყობენ ჯგუფის წევრების მორიგეობას, ამა თუ იმ საწარმოს დაწესებულების მომუშავეთა საჩივრების და განცხადებების მიღებას და მათ გადაცემას საბჭოს სათანადო განყოფილებასა და სექციაში, აგრეთვე თვალყურს ადევნებენ მათ გადაწყვეტას;

ბ) აწყობენ და ატარებენ საწარმოებში პრეზიდენტის წევრების და საბჭოს განყოფილებათა გამგეების მისაღებ დღეებს;

გ) გამოკითხვენ საბჭოთა აქტივის შემადგენლობიდან სექციონერებს საბჭოს სექციებში მუშაობისათვის და კონტროლს უწევენ მათ მუშაობას;

დ) რეგულარულად ატარებენ ამომრჩეველთა კრებებზე დებუტატების და სექციონერების ანგარიშებს მათი მუშაობის შესახებ საბჭოში და საბჭოს სექციებში; აყენებენ ამ კრებებზე საკითხს იმ დებუტატების უკან გაწვევის შესახებ, რომელთაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლეს;

ე) აწყობენ ამომრჩეველთა კრებებზე მოხსენებებს საბჭოს, მისი პრეზიდენტის და აგრეთვე სექციების და საბჭოს განყოფილებების მუშაობის შესახებ;

ვ) ეწევიან ამომრჩეველთა შორის საბჭოს მუშაობის და მისი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების პოპულარიზაციას, რისთვისაც აწყობენ კუთხეებს, გამოტყენებს, საუბრებს და სხვ.;



ბ) იღებენ მონაწილეობას ამომრჩეველთა დავალებების დამუშავებაში, სისტემატურ ფაქტორ კონტროლს უწევენ ამ დავალებების შესრულებას და ამერიკულად აღნაგობენ ამომრჩეველებს მათი განხორციელების მიმდინარეობას;

თ) პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად ხელმძღვანელობას უწევენ საწარმოო-საამხანაგო სასამართლოების მუშაობას და ანხორციელებენ ღონისძიებებს სახალხო მსაჯულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

ი) აწესებენ სადემუტატო ჯგუფის შეფობას სასოფლო საბჭოების მიმართ; ხელმძღვანელობას უწევენ ფაბრიკა-ქარხნების შეფობის ორგანიზაციის საბჭოთა დაწესებულებების, სამხედრო ნაწილების და საქალაქო მეურნეობის ცალკეული საწარმოებისა და ნაწილების მიმართ; ხელს უწყობენ საწარმოს და დაწესებულებების საშეფო მუშაობას სოფლების და კოლმეურნეობების მიმართ; გამოყოფენ სპეციალურ ბრიგადებს საშეფო ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად;

კ) ანხორციელებენ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მუშების დაწინაურებას საბჭოთა აპარატში სამუშაოდ სოციალისტურ შემთავებლებად და შტატგარეშე ინსტრუქტორებად, თანაც ამყარებენ მათთან კავშირს პრაქტიკულ მუშაობაში (მათი მოხსენებების მოსმენით მუშათა კრებებზე და სხვა);

ლ) პრაქტიკულად ატარებენ საწარმოში და დაწესებულებაში მასურ პოლიტიკურ, საბჭოთა და სამეურნეო კამპანიებს.

#### IV. სადემუტატო ჯგუფების მოქმედების წესი.

18. დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად სადემუტატო ჯგუფები იყენებენ შრომის სოციალისტურ მეთოდებს (სოცშეჯიბრება და სხვ.); აწყობენ საბჭოთა აქტივიდან დამკვრელ და სხვა ბრიგადებს მუშაობის ცალკეული დარგებისათვის ან განსაზღვრული კონკრეტული საკითხებისათვის, აწყობენ საზოგადოებრივ ბუქსირს, აწესებენ საკონტროლო პოსტებს და სხვა, თანაერთ მუშაობას სადემუტატო ჯგუფები ამყარებენ საბჭოთა მუშაობის ტემპების ამაღლების საფუძველზე, სოციალისტური მშენებლობის ტემპების შესაბამისად, და აგრეთვე ფართო პროლეტარული თვითკრიტიკის საფუძველზე.

19. სადემუტატო ჯგუფს უფლება აქვს მოახდინოს თავისი საწარმოს თუ დაწესებულების გამოკვლევა და აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა სხვა ორგანიზების მიერ მოწყობილ გამოკვლევაში, მოისმინოს თავის სხდომებზე მოხსენებანი სათანადო საწარმოს და დაწესებულების მუშაობის შესახებ და გამოიტანოს დადგენილებანი ამ მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების შესახებ.

20. სადემუტატო ჯგუფები ანხორციელებენ თავის მუშაობას საქალაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) და იმ საწარმოს თუ დაწესებულების გეგმის მიხედვით, რომელთანაც ისინი მოწყობილი არიან, და აგრეთვე საქა-

ლაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) დირექტივებისა და მითითებების მიხედვით.

21. სადებუტატო ჯგუფები ამყარებენ მკიდრო კავშირს საქალაქო საბჭოს (და ქალაქის სარაიონო საბჭოს) სექციებთან, ხელს უწყობენ მათ მუშაობას, ამაშენ ამ მუშაობაში მუშა-მოსამსახურეთა ახალ ფენებს, აყენებენ სექციების წინაშე საწარმოო ცხოვრების და მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საკითხს, რომლის გადაწყვეტაც საწარმოს ფარგლებში შეუძლებელია, და იღებენ ამ სექციებისაგან სათანადო დახმარებას და მითითებებს.

როდესაც სექციის ხელმძღვანელს მოსმენილ იქნება საწარმოს მოხსენება სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ, აუცილებლად მოსმენილ უნდა იქნეს სადებუტატო ჯგუფის თანამოხსენებაც იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყო მან ხელი სამრეწველო-საფინანსო გეგმის განხორციელებას.

22. სადებუტატო ჯგუფები თავის მუშაობას უკავშირებენ ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას (საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები, ნებაყოფლობითი საზოგადოებანი და სხვ.), რისთვისაც შეათანხმებენ მათთან თავისი მუშაობის გეგმებს და ურთიერთი დახმარების საფუძველზე განახორციელებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რაც ეხება როგორც სადებუტატო ჯგუფების, ისე ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციებს, ხოლო ისინი ვერ ჩაერევიან ამ ორგანიზაციების უშუალო ფუნქციებში.

23. არ შეიძლება სადებუტატო ჯგუფების მიერ საადმინისტრაციო ფუნქციების მითვისება, აგრეთვე მათ არ შეუძლიათ გასწიონ საწარმოს თუ დაწესებულების ხელმძღვანელი ორგანოების მავიერობა ან შეამცირონ მათი როლი და პასუხისმგებლობა.

24. სადებუტატო ჯგუფები ზემდგომ საბჭოთა ორგანიზაციებში საკითხის დაყენების საშუალებით ხელს უწყობენ საწარმოს ადმინისტრაციას გადაწყვეტოს ის საკითხები, რაც საწარმოს ფარგლებს სცილდება (მომარაგება სათბობით, ნედლეულით და ნახევარ-ფაბრიკატებით, დატვირთვა შეკვეთით და სხვ.). სადებუტატო ჯგუფები აგრეთვე კავშირს იკერენ სხვა საწარმოების სადებუტატო ჯგუფებთან და გადასცემენ მათ გადასაწყვეტად ცალკეულ საკითხებს, რომლებზედაც დამოკიდებულია საწარმოს სამრეწველო-საფინანსო გეგმის ხარისხობრივი და რაოდენობითი მაჩვენებლების შესრულება.

25. მრეწველობის ერთი და იმავე დარგის სხვადასხვა საწარმოების სადებუტატო ჯგუფებმა მკიდრო კავშირი უნდა დაამყარონ ურთიერთშორის, გადასცენ ერთმანეთს მასური საბჭოთა მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების გამოცდილება და თავისი საწარმოს მუშაობის გამოცდილება, რისთვისაც შემოღებულ უნდა იქნეს პრაქტიკაში სადებუტატო ჯგუფის საუკეთესო დამკვერელი წევრების გაგზავნა, სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებათა დადება და პროლეტარული ურთიერთ დახმარების სხვა ფორმები.



26. სადებუტატო ჯგუფის პლენუმი მოიწვევა კალენდარულ დღეებში მოიწვევს ორჯერ მაინც თვეში. სადებუტატო ჯგუფის ბიუროს და პლენუმის სხდომები შედის საწარმოს თუ დაწესებულების მასური მუშაობის საერთო გეგმაში.

სადებუტატო ჯგუფის სხდომები ახდელია.

27. უკეთეს საჭირო იქნება დამუშავება ან მოწესრიგება ისეთი საკითხებისა, რაც საერთოა ერთ კომპინატად გაერთიანებული რამდენიმე საწარმოსათვის, საქალაქო საბჭოს (ან ქალაქის სარაიონო საბჭოს) განკარგულებით მოიწვევა აღნიშნული კომპინატის ყველა სადებუტატო ჯგუფის ბიუროების თათბირი ან სადებუტატო ჯგუფების გაერთიანებული სხდომა.

28. სადებუტატო ჯგუფის გადაწყვეტილება შესრულებულ უნდა იქნეს საწარმოს თუ დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით. უკეთეს ადმინისტრაცია სადებუტატო ჯგუფის გადაწყვეტილების შესრულებაზე უარს იტყვის, სადებუტატო ჯგუფი გადაიტანს საკითხს საქალაქო საბჭოს (ან ქალაქის სარაიონო საბჭოს) პრეზიდიუმში.

29. სადებუტატო ჯგუფი თავისი მუშაობის ანგარიშს აბარებს როგორც სათანადო საბჭოს, ისე უწყებული საწარმოს ან დაწესებულების ამომრჩეველთა კოლექტივს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრ. საქ. ც.ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაძე.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფლისი.

## 29. დადგენილება ც.ა.კ.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში საგზაო განყოფილებების მოწყობის შესახებ.

„სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან საგზაო განყოფილებების მოწყობის შესახებ“ მიღებული ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 38) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღდგენს:

### I.

1. მოეწყოს მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების შედგენილობაში საგზაო განყოფილებანი.

2. დავალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს გააძლიერონ უშუალო ზელმძღვანელობის ვაწვევა საგზაო განყოფილებებისათვის და აღმოუჩინონ მათ ყოველდღიური დახმარება.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყაშირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს—იბმაროს ღონისძიებანი სათანადო კადრებით საგზაო განყოფილებების უზრუნველყოფისათვის.

## II

4. საქართველოს სსრ საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების 46 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-8 №-ი, მუხ. 65) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„46. რაიონის მმართველობისა და მეურნეობის ცალკეულ დარგთა სამუშაოების შესასრულებლად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შედგენილობაში ეწყობა შემდეგი განყოფილებანი: ა) საორგანიზაციო, ბ) სამიწათმოქმედო გ) ადგილობრივი მეურნეობისა, დ) საგზაო, ე) საფინანსო, ვ) სახალხო განათლებისა, ზ) საგვეგმო კომისია და თ) სარაიონო მუშათა და გლეხთა ინსპექცია“.

5. ამოიშალოს აღნიშნული დებულების 46 მუხლის 1-ლი შენიშვნა.

6. აღნიშნული დებულების 47 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„47. 46 მუხლში აღნიშნული განყოფილებების გარდა, თვითეულ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობენ მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო სამმართველო და ინსპექტორები: ა) მომარაგებისა, ბ) შრომისა, გ) ჯანმრთელობისა, დ) სოციალური უზრუნველყოფისა, ე) სამხედრო საქმეთა და ვ) ფიზიკური კულტურისა“.

(შენიშვნები დატოვებულ იქნეს ძალაში).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. ნოემბრის 21.

ტფილისი.

## მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

### 30. დადგენილება ს.კ.ს.

**ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დატვირთვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.**

რადგანაც ქ. ტფილისის და მისი რაიონის მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მოთხოვნილება ელექტროენერჯისადმი თვალსაჩინოდ გაიზარდა და საგრძნობლად აღემატება ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ძალოვნებას, რომელიც მომსახურებას უწევს ამ მოთხოვნილებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის ელექტრო-ენერჯის რაციონალურად განაწილებისა და ეკონომიურად ხარჯვის მიზნით, ადგენს:

1. დაევალოს ამასთანავე დართულ სიაში აღნიშნულ საწარმოთა აღმშენებლობის—გარდაქმნას ამ საწარმოთა მუშაობა ისე, რომ მაქსიმალურად შეწყვიტებულ იქნეს ელექტროენერჯის მოხმარება ზემო-ავექალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის უმწვერვალესი დატვირთვის საღამოს და დილის საათებში იმ გარეუკების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია ზემო-ავექალის სადგურის დატვირთვის მომწესრიგებელი სპეციალური კომისიის მიერ, რისთვისაც ხუთი დღის ვადაზე, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, განხორციელებულ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) პირველი ცვლის მუშაობა ყველა ამ საწარმოში დაწყებულ იქნეს ერთი საათით გვიან;

ბ) სამცხლიანი მუშაობის მქონე საწარმოში, სადაც მეორე (საღამოს) ცვლა უფრო დატვირთულია, ვიდრე მესამე (ღამის), უნდა მოხდეს ამ ცვლათა გადისმა;

გ) ორცხლიანი მუშაობის მქონე საწარმოში მეორე ცვლა გადაყვანილ იქნეს ღამის მუშაობაზე.

2. აეკრძალოს ყველა დანარჩენ მოხმარებელს, რომელიც იყენებს ელექტრო-ენერჯიას სატელექტრო-მოტორო დანადგამებისა და სხვა ტექნიკური მიზნისათვის, გარდა ამასთანავე დართულ სიაში ჩამოთვლილ საწარმოთა, აგრეთვე პურის ქარხნებისა, სტამბებისა, ლიტოგრაფიებისა, აბანოებისა და სსსწავლებლებთან არსებული სახელოსნოებისა, ელექტრო-ენერჯიის მოხმარება ზემო-ავექალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის საღამოთი მაქსიმალური დატვირთვის საათებში (17 საათიდან 23 საათამდე).

შენიშვნა. ყველა ის ნებაართვა აღნიშნულ საათებში ელექტრო-ენერჯიის გამოყენების თაობაზე, რაც გაცემულია ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე, ძალასა ჰკარგავს.

3. აეკრძალოს ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს, რომელსაც მომსახურებას ზემო-ავექალის ჰიდრო-ელექტრო-სადგური უწევს, იხმაროს:

ა) ელექტრო-ლუმენი (სხვათა შორის ნათურიანი), რა ძალოვნებისაც უნდა იყოს, სადგომის ვასათობად;

ბ) ელექტრო-პლიტა და სხვა სათბობი ხელსაწყო 600 ვატზე მეტი ძალოვნებისა.

4. აეკრძალოს ზემო-ავექალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის ენერჯიის მოხმარებელთ, ტფილისის ელექტრო ნაგებობათა სამმართველოს ნებაართვის გარეშე თვითთულ ცალკე შემთხვევაში, ელექტრო დანადგამების (ტრანსფორმატორი, ელექტრო-მოტორი, განათების დანადგამი და სხვა მისთ.) ძალოვნების 0,5 კილოვატზე მეტად გადაიდება.

5. დაევალოს ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოს, თეატრისა, კინემატოგრაფისა, კლუბისა და სხვა მისთ. აღმინისტრაციას—შეამციროს მიწიშუამდე თავისი სადგომებისა, საწყობებისა, ვიტრინებისა, შესასვლელებისა, ფოიებისა და სხვა მისთ. განათება—ისე, რომ

ელექტრო-ენერჯის ხარჯვა ამ მიზნებისათვის, წარსული წლის სათანადო თვეების ხარჯვასთან შედარებით, შემცირებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე  $10\%$  შენაშენა. საეპრო ვიტრინების გასანათებლად ნებადართული თურების გამოყენება საერთო ძალოვნებით: დიდი ვიტრინებისათვის—არა უმეტეს 100 ვატისა, ხოლო მცირე ვიტრინებისათვის—არა უმეტეს 50 ვატისა.

სარეკლამო განათებისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრო-ენერჯის ძალოვნება არა უმეტეს 0,5 კილოვატისა.

6. წინადადება მიეცეს იმ უწყებათ, დაწესებულებათ და საწარმოთ, რომელთაც აქვთ ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოში დარეგისტრირებული საკუთარი თბო-ელექტრო-სადგურები (სარეზერვო, დაკონსერვებული), ამოქმედონ ეს სადგურები საექსპლოატაციოდ აღნიშნული სამმართველოს მოთხოვნისთანავე და გადაიტანონ ამ სადგურებზე შათი ძალოვნების შესაფერი დატვირთვის ნაწილი.

7. დაევალოს ზემო-აგვალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის ენერჯის ყველა მომხმარებელს ყოველი თავისი ელექტრო-ღუმელი და ამა დადგენილების მე-3 მუხ-აღნიშნული სათბობი ხელსაწყო დარეგისტროს ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოში 1933 წ. იანვრის 1-დღე.

პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ ხელსაწყოთა თავის დროზე დარეგისტრებისათვის და აგრეთვე ამა დადგენილების მე-3 და 4 მუხ. აღსრულებისათვის დაეკისროს, გარდა თვით ელექტრო-ენერჯის მომხმარებლებისა, აგრეთვე საზინაო-საიჯარო კოპერატიულ ამხანაგობათა გამგებებს, სახლის კომუნდანტებს და გამგებებს, სახლის პატრონებს და მოიჯარეებს და სახლმმართველობის სხვა პასუხისმგებელ პირებს.

უკეთეს გამოაშკარავებულ იქნა დაურეგისტრირებული დანადგამები ან დანადგამის უკანონოდ გამოყენება, ზემოაღნიშნული პირნი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ეს ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს.

8. ამა დადგენილების 1-ლ, მე-2,3,4,5 და 7 მუხლებში აღნიშნული წესების აღსრულებლობა ან დარღვევა გამოიწვევს ჯარიმას 1,000 მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ორ თვემდე, რაც დაიდება საადმინისტრაციო წესით აღმინისტრაციულ გადასახდელთა დებულების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207, შემდგომი ცვლილებებით) ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს და სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ენერჯოცენტრის ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოს აგენტებისა და აგრეთვე მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი ოქმების მიხედვით.

აღნიშნულ სახედმოქმედო ღონისძიებათა გარდა, ტფილისის ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს ქალაქის აბონენტების მიმართ, ხოლო სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ენერჯოცენტრის ამიერკავკასიის სარაიონო სამმართველოს აღმინისტრაციას—ქალაქ-გარე აბონენტების მიმართ უფლება

აქეთ მოშალონ ამა დადგენილების დამრღვევ მომხმარებლებთან დადებული სითანადო ხელშეკრულებები ელექტრო-ენერჯის მიწოდების შესახებ.

9. მუშაობა ყველა სამრეწველო, საეკრო და სხვა საწარმოებში, სასაზღვაო და სხვა სხვა მეცადინეობა ყველა სამმართველოში, ორგანიზაციაში, სასწავლებელში და სხვა მისთ. დაწყებულ იქნეს ერთი საათით გვიან.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს და ტფილისის საქალაქო საბჭოს—გასცენ ამ საკითხის გამო სითანადო განკარგულება ხუთი დღის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1931 წ. ნოემბრის 24-ის დადგენილება „იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე დაიწყებოდეს ზემო-ავეკალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის მეორე რიგის დანადგამთა და რიონის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის ექსპლოატაცია, ზემო-ავეკალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დატვირთვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 24 №-ი, მუხ. 253).

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შიშახია.

1932 წ. დეკემბრის 21.

ტფილისი.

დანართი საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 21 დადგენილებისა „ზემო-ავეკალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის დატვირთვის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

იმ საწარმოთა ხია, რომელნიც იყენებენ ზემო-ავეკალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ელექტრო-ენერჯიას, და რომელთაც უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ამ სადგურის დატვირთვის მოწესრიგებელი სპეციალური კომისიის მიერ აღნიშნულ საწარმოთათვის დადგენილი დატვირთვის გრაფიკების შესაბამისად.

I. სამცხლიანი მუშაობის მქონე საწარმონი, სადაც უნდა მოხდეს მეორე და მესამე ცვლის გადასმა დატვირთულობის მიხედვით:

1. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანა.
2. შაუდის ფაბრიკა.
3. 26 კომუნარის ქარხანა.
4. „ტყვეტრესტის“ საწარმონი ორთაჭალაში.
5. „მკერავის“ ფაბრიკა მე-2 №-ი.
6. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა.

II. ორცხლიანი მუშაობის მქონე საწარმონი, სადაც მეორე ცვლის მუშაობა ვადატანილია მესამე ცვლად:



1. თამბაქოს ფაბრიკა 1-ლი №-ი.
2. თამბაქოს ფაბრიკა მე-2 №-ი.
3. ბამბის ფაბრიკა.
4. ავეჯის ფაბრიკა.
5. „მკერავის“ ფაბრიკა 1-ლი №-ი.
6. სახელმწიფო კინომრეწველობა.

III. ის საწარმოანი, რომელთაც ელექტრო-ენერჯის მიწოდება მეორე ცვლის დროს მთლიად (განათების გარდა) ან ნაწილობრივ უმცირდებათ:

1. საქალაქო სასაქლოები—17 საათიდან 23 საათამდე ელექტრო-ენერჯია ეძლევათ მხოლოდ განათებისათვის.
2. საშედრო-სასურსათო ბაზისი—17 საათიდან 23 საათამდე ელექტრო-ენერჯია ეძლევა მხოლოდ განათებისათვის.
3. ა/კ. რკინის გზების სასაცხოვრო—17 საათიდან 23 საათამდე ელექტრო-ენერჯია ეძლევა მხოლოდ 1 კომპარტისათვის.
4. წყალსაქანი სარეზერვუარო პარკი—18 საათიდან 22 საათამდე. ელექტრო-ენერჯია ეძლევა მხოლოდ განათებისათვის.
5. ლუდის ქარხანა 1-ლი №-ი—17 საათიდან 23 საათამდე ეძლევა მხოლოდ 10 კილოვატი.

IV. ის საწარმოანი, რომელთაც თავიანთ საკუთარ სარეზერვო თბოდანადგამებზე უნდა გადაიტანონ ამ თბო-დანადგამების ძალოვნების შესაბამისი დატვირთვა:

	თბო-დანადგამის ძალოვნება
1. ტრამვაი . . . . .	950 კილოვ.
2. ტუილისის სარკინისგზო კვანძი . . . . .	200 "
3. რადიო-სადგური ნავთლულში . . . . .	70 "
4. თრჯინიკიძის სახელობის ქარხანა . . . . .	75 "
5. სარკინისგზო წყალსაქანი მუშტაიდან . . . . .	130 "

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 297 №-ში 1932 წ. დეკემბრის 24.

### 31. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სარეწაო კომპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების საღაროების შესახებ.

„შინამრეწველთა და ხელოსანთა საურთიერთო დაზღვევის შესახებ“ გამოცემული სსრ-კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარათა საბჭოს 1929 წ. ივნისის 26-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 42 №-ი, მუხ. 369) და ამ დადგენილების დასამატებლად გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარათა საბჭოს 1932 წ. აპრილის 7-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 26 №-ი, მუხ. 169) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალურ-

რი აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭო ადგენენ:

1. სარეწაო კოოპერაციის მიერ კოოპერირებულ პირთა და მათ ოჯახთა საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების განხორციელების მიზნით ეწყობა საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალა-  
როები.

2. სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს წევრად შეიძლება იყოს:

ა) კოოპერატიული სარეწაო ამხანაგობა (არტელი);  
ბ) სანადირთ რეწაობაში მოსაქმე პირთა გამაერთიანებელი კოოპერატი-  
ული ამხანაგობა (არტელი);

გ) სარეწაო-სასოფლო-სამეურნეო (სარეწაო კოლექტიური მეურნეობა), გამსაღებელ-მომმარაგებელი და შერეული კოოპერატიული ამხანაგობა (არტელი);

დ) როგორც „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ამხანაგობისა და არტელის წევრად მყოფი, ისე წევრად არ მყოფი ცალკეული პირი, რომელსაც შე-  
პსრულებია 16 წლის ასაკი, უკეთეს იგი ეწევა რეწაობას ან ხელობას ერთპიროვნად თავისი ოჯახის წევრთა მონაწილეობით, ან არა უშეტეს ერთი დაქირავე-  
ბული მუშისა, ან და ორი შეგირდის შრომის გამოყენებით.

3. ყველა სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობა (არტელი), სხვათა შორის—  
გამსაღებელ-მომმარაგებელი ამხანაგობა და სარეწაო კოლექტიური მეურნეობა,  
დაარსების მომენტიდან ითვლება სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო და-  
ზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს წევრად და იხდის დადგენილ  
სადაზღვეო გადასახადს თავისი წევრის საშუალო საშოგრის მიხედვით.

4. სალაროს მოქმედების რაიონი განისაზღვრება მისი წესდებით.

5. სალაროების წინაშე მდგარი ამოცანების რაც შეიძლება წარმატებით  
განხორციელების მიზნით სალაროები გაერთიანდებიან სრულიად საქართველოს  
სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების  
სალაროების კავშირად. კავშირად გაერთიანებულ სალაროთა რიცხვი არ შეიძ-  
ლება იყოს სამზე ნაკლები.

6. ორი არ რამდენიმე სალაროს ერთ სალაროდ შეერთება და აგრეთვე  
ერთი სალაროს ორ ან რამდენიმე სალაროდ დაყოფა შეიძლება მოხდეს სათა-  
ნადო სალაროების რწმუნებულთა კრების დადგენილებათა თანახმად სრულიად  
საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო  
დახმარების სალაროების კავშირის მიერ განსაზღვრული წესისამებრ. სალაროთა  
შეერთებისა თუ დაყოფის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად  
რწმუნებულთა კრება იღებს და სარეგისტრაციოდ არადგენს ახალ წესდებას ან  
შეაქვს მომქმედ წესდებაში საჭირო ცვლილებანი. ცვლილებანი და დამატებანი  
რეგისტრდება საერთო წესით.

7. სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო  
დახმარების სალაროს ამოცანას შეადგენს:

ა) გაუწიოს სალაროს მონაწილეს და მისი ოჯახის წევრებს ყოველი სახის სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარება როგორც მრთელობის ორგანოებთან შეთანხმებით, ისე საკუთარი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მოწყობით;

ბ) მისცეს სალაროს მონაწილეს დახმარება დროებით შრომის უნარიანობის დაკარგვის დროს (ავადმყოფობა, ორსულობა, მშობიარობა, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა, კარანტინი და სხვა მისთ.);

გ) გასცეს დახმარება როდესაც სალაროს მონაწილე ქალს და მონაწილე მამაკაცის ცოლს დაეხმარება ბავშვი (ახლად დაბადებულის მოვლისა და კვებისათვის);

დ) გასცეს დახმარება სალაროს მონაწილისა და მონაწილის ოჯახის წევრის დასამარხად;

ე) მისცეს სალაროს მონაწილეს დახმარება სალაროს მონაწილის სტიქიური ან სხვა რამ უბედური მოვლენით გამოწვეული გაკირვების გამო (ხანძარი, წყალდიდობა, გაქურდვა, გაძარცვა და სხვა მისთ.);

ვ) მისცეს დახმარება სალაროს მონაწილეს მისი განათლებისათვის და აგრეთვე მისი ოჯახის წევრთა განათლებისა და აღზრდისათვის;

ზ) მისცეს სალაროს მონაწილეს სესხი საამისოდ დაარსებული სპეციალური კაპიტალიდან მწვევე გაკირვების თავიდან ასაცილებლად ან ავად გახდომის საფრთხის წინასწარ აღკვეთის მიზნით და სხვა მისთ.);

თ) გამოიკლიოს და თვალყური ადევნოს, რათა სარეწაო კოოპერატიულ ამხანაგობათა (არტელთა) საწარმოში ანხორციელებდნენ შრომის დაცვისა, ტექნიკური უშიშროებისა და საწარმოო სანიტარიის ღონისძიებათ;

ი) გაუწიოს დახმარება სალაროს იმ მონაწილეს, რომელიც გაწვეულია სამხედრო სამსახურისათვის ან ჯარში გაწვევამდე მომზადებისათვის;

კ) დააკმაყოფილოს სალაროს მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთა საყოფაცხოვრებო საჭიროებანი განსაზოვადობული საყოფაცხოვრებო მოწოდებების მოწყობით (ბავშვთა ბაგები, ბავშვთა სახლები, ბავშვთა მოედნები და სხვა - მისთ.), საბინაო პრობემების გაუმჯობესებებით, სალაროს წევრთა და მათი ოჯახის წევრთა შორის სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებით და მათთვის იურიდიული დახმარების გაწევით (კონსულტაცია, მათი ინტერესების დაცვა სასამართლოში და სხვა მისთ.).

8. სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროთა კავშირი, სრულიად საქავშირო საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით, ანხორციელებს შემდეგ ამოცანებს:

ა) გაერთიანებული სალაროების მოქმედებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) საურთიერთო დაზღვევის სახსართა მოწესრიგება სათადარიგო, სარეზერვო და სხვა კაპიტალებისა და ფონდების მოწყობით და ამ კაპიტალებისა და ფონდების განკარგვა;

გ) გაერთიანებული სალაროების მოქმედების საერთო დაგეგმვა;

დ) სალაროს მონაწილეთათვის პენსიის დანიშვნა ან პენსიის დაკლება მათი უზრუნველყოფა ინვალიდობისა და სიბერის გამო, ხოლო სალაროს მონაწილეთა ოჯახის წევრთათვის—მარჩინალის დაკარგვის გამო;

ე) სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მოწყობა;

ვ) ტარიფებისა, წესებისა, ინსტრუქციებისა და სხვა სახელმძღვანელო მასალის დამუშავება სალაროების ყოველგვარი მოქმედების ხაზით;

ზ) სხვა მოქმედება, რაც მიმართულია საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების საქმის განვითარებისათვის.

9. საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს სახსარს შეადგენს:

ა) სალაროს წევრთა შესასვლელი გადასახადი;

ბ) სადაზღვეო გადასახადი, რაც გამოიანგარიშება და გადაიხდებიან პროცენტულად სალაროს მონაწილის ფაქტიური და საშუალო სამუშაო საშოვნის თანხის კვალობაზე ან მტკიცე თანხად საკატეგორიო სისტემის მიხედვით;

გ) სალაროს წევრთა და მონაწილეთა სპეციალური გადასახადი, რაც დადგენილია სამხედრო სასახურში ან ჯარში გაწვევამდე მომზადებისათვის გაწეულთა უზრუნველსაყოფად, და სხვა სპეციალური კაპიტალები და ფონდები;

დ) გადასახადის თავის დროზე შეუტანლობისათვის დადგენილი საურავე;

ე) სალაროს კუთვნილი ქონების შემოსავალი;

ვ) სხვა შემოსავალი (ამხანაგობის (არტელის) კაპიტალების პროცენტები, მოგების ანარიცხები და სხვა მისთ.).

10. შესასვლელი გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირის რწმუნებულთა კრება.

11. მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული სადაზღვეო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს სალარო თანახმად განსაკუთრებული ტარიფებისა, რასაც შეიმუშავებს სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების კავშირი სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოსთან შეთანხმებით.

12. ყოველთვიური სადაზღვეო გადასახადი და საურავე იმ პირობით, რომელნიც მუშაობენ ამხანაგობის (არტელის) საერთო სახელოსნოებში, ან რომელნიც მარაგდებიან მასალით ამ სახელოსნოებიდან, გასტუმრებულ უნდა იქნეს ამხანაგობის სახსრით.

13. არაკოოპერირებული წევრნი-მონაწილენი სალაროსი იხდიან ყოველთვიურ სადაზღვეო გადასახადს და საურავეს თავიანთ სამუშაო საშოვნრიდან;



ამასთანავე, ამ გადასახადის რაოდენობა განისაზღვრება ამა დადგენილების მე-11 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

14. სადაზღვეო გადასახადის შეტანის ვადის გადაცილებისას სადაზღვეო ნილი საურაგის რაოდენობა განისაზღვრება სალაროს წესდებით შეუტანელი თანხის  $2\frac{1}{2}\%$ -ის ფარგლებში; ამასთანავე, არა-სრული თვე და არა-სრული მანეთი მიიღება სრულ თვედ და სრულ მანეთად.

15. წმინდა შემოსავლის ანარიცხს და აგრეთვე ერთდროულ გადასახადს სპეციალური ფონდების შექმნისათვის განსაზღვრავს კოოპერატიული ორგანიზაციების საერთო კრება ან რწმუნებულთა კრება.

16. ფონდების შექმნისა, შენახვისა და ხარჯვის წესი და სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობების (არტელების) იმ წევრთა დახმარების წესი, რომელნიც გაწვეულ არიან სამხედრო სამსახურისა თუ ჯარში გაწვევამდე მომზადებისათვის, და აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელ არმიის გაწვეულთა დახმარების სახე და რაოდენობა განისაზღვრება სპეციალური დებულებით, რასაც გამოსცემს სრულიად საქავშირო სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების საბჭო სრულიად საქავშირო სარეწაო კოოპერაციის ცენტრთან შეთანხმებით.

17. ყველა სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობა (არტელი), რომელიც საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს წევრია, ყოველ თვე სახელმწიფო ბანკში თავისი წევრების სამუშაო საშოვრის ნუსხის წარდგენის დროს, წარადგენს თავისი ხუდრი სადაზღვეო გადასახადის ანგარიშს და ბრძანებას, რათა სათანადო თანხა გადარიცხულ იქნეს სათანადო საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს ანგარიშზე.

18. სრულიად საქართველოს სალაროების კავშირის სახსარს შეადგენს სალაროთა პერიოდული ანარიცხები, რაც გადაიღება:

- ა) სათადარიგო კაპიტალში;
- ბ) სარეზერვო კაპიტალში;
- გ) საპენსიო ფონდში;
- დ) საორგანიზაციო ხარჯებისათვის;
- ე) სრულიად საქართველოს სალაროების რწმუნებულთა კრების მიერ დადგენილ სპეციალური მიზნობრივი დანიშნულების კაპიტალებში და ფონდებში.

19. სათადარიგო კაპიტალისა და სარეზერვო ფონდის დაგროვების ზღვრული თანხა განისაზღვრება სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირის წესდებით.

20. სათადარიგო კაპიტალი და სარეზერვო ფონდი სრულიად საქართველოს სალაროების კავშირის უშუალო განკარგულებაშია და იხარჯება მის მიერ იმ სალაროებისათვის დოტაციების მისაცემად, რომელნიც გაპირებულ ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

21. სალაროების საქმეებს და აგრეთვე სალაროების კავშირის საქმეებს განაგებენ რწმუნებულთა კრება და გამგეობა. მმართველობის ირჩევან და მოქმედობენ სალაროს (კავშირის) წესდებით განსაზღვრული სისამებრ. გამგეობის მოქმედებისათვის კონტროლის გასაწევად აირჩევა სარევიზიო კომისია. ამ კომისიის არჩევისა და მოქმედების წესი აღინიშნება აგრეთვე წესდებაში. სალაროს (კავშირის) საქმეების უშუალო გამგებლობისათვის გამგეობას შეუძლიან გამოაყოს თავისი წევრების რიცხვიდან გამგეობის პრეზიდენტი.

მმართველობისა და კონტროლის ორგანოების შედგენილობაში საბჭოთა საარჩევნო უფლებბაყრილ პირთა არჩევა არ შეიძლება. ამგვარ პირებს არ შეუძლიათ აგრეთვე რაიმე თანამდებობის დაჭერა სალაროს აპარატში.

22. ურთიერთობა სალაროსა (სალაროთა კავშირისა) და სალაროს (სალაროთა კავშირის) წევრთა შორის განისაზღვრება წესდებით და ამ წესდების საფუძველზე სალაროს სამმართველო ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებებით და ინსტრუქციებით და აგრეთვე სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირის წესებით და ინსტრუქციებით.

23. სრულიად საქართველოს საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირის წესდებას ამტკიცებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი—სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოსთან შეთანხმებით.

24. საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალარო, რომლის მოქმედების რაიონიც ერთი რაიონის ფარგლებშია, არსდება განცხადების წესით.

საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალარო, რომლის მოქმედების რაიონიც ერთი რაიონის ფარგლებს სცილდება, არსდება მხოლოდ მრევლისტრავი ორგანოს ნებართვით.

25. სალარო არსდება ნორმალური წესდების თანხმად; წესდებას ამტკიცებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოსთან და სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების კავშირთან შეთანხმებით.

26. საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროს წესდებას არეგისტრებს, სალაროს გამგეობის სამყოფელი ადგილის მიხედვით, სოციალური უზრუნველყოფის სარაიონო ან სხვა სათანადო ორგანო.

განცხადების წესით დაარსებული სალაროს წესდების დამტკიცებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სარეგისტრაციოდ წარდგენილი წესდება ეწინააღმდეგება კანონს ან ნორმალურ წესდებას.

წესდების დარეგისტრებაზე უარის თქმა შეიძლება განსაზღვრულ იქნეს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტში ან საქალაქო საბჭოში, რომლის დადგენილებაც საბოლოოა.

27. სალაროს დაარსების ნებართვა გაიცემა და აგრეთვე ერთი რაიონის ფარგალ-გარეთ მომქმედი ალაროების წესდებათა რეგისტრაცია მისდევნა და მისი დადგენის შემთხვევაში მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნება სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირისა და სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს დასკვნა.

28. განცხადება რეგისტრაციის შესახებ მრეგისტრაციამ ორგანომ უნდა განიხილოს ათი დღის ვადაზე დღიდან განცხადების შეტანისა; ამასთანავე, უკეთეს ამ ვადის განმავლობაში გამოტანილ არ იქნა დადგენილება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, წესდება დაუკონტროლებელი შეიტანება რეგისტრში.

29. სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალარო იქნეს იურიდიული პირის უფლებას მისი წესდების დარღვევების დღიდან.

სრულიად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების კავშირი იქნეს იურიდიული პირის უფლებას მისი წესდების დამტკიცების დღიდან.

30. სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროები და მათი კავშირი, აგრეთვე მათ მიერ შესანახი და უშუალოდ ექსპლოატირებული სანატორიუმები, დასვენების სახლები, კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები, სასადილოები და სხვა დაწესებულებანი და საწარმოები, რომელნიც ინახებიან მე-7 და 8 მუხლებში აღნიშნული მიზნების და ამოცანების განხორციელებისათვის, განთავისუფლებული არიან ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან და აგრეთვე ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

31. შენობათა და სადგომთა დაქირავებისა, კომუნალური მომსახურების სასყიდლისა და მიწის ნაკვეთთა იჯარით აღების სფეროში სარეწაო კოოპერაციის საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროები და მათი კავშირი გათანაბრებულ არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან.

32. საურთიერთო დაზღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროები და მათი კავშირი ახდენენ თანხებზე თანხებით წვევრებს მათ მიერ ვალდებულებებით ნაკისრებ თანხებს და აგრეთვე მე-7 მუხლის შესაბამისად გაცემულ დასაბრუნებელ თანხებს სააღსრულებო წარწერის წესით, რა წარწერაც უნდა გაუკეთდეს ვალდებულების დოკუმენტს. საურთიერთო დარღვევისა და საურთიერთო დახმარების სალაროების და მათი კავშირის ის მოთხოვნები გადახდებიან თანხაზე, რაც საურთიერთო დაზღვევას ეხება, დაკმაყოფილების რიგობის მხრით ეთანაბრება სოციალური დაზღვევისადმი დავალიანების გადახდებიან. სალაროებისა და მათი კავშირის ცალკეული გადახდები ეთანაბრება სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნებს.



დადგენილება „საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთვის, სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლების მინიჭების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 204; 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 210) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

### 33. დადგენილება ს.კ.ს.

წყალთა მეურნეობის სამმართველოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლითა და გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 16-ის დადგენილება „მიწების მორწყვისა და შეგუების სფეროში, აგრეთვე წყლის სარგებლობის მოწესრიგების საქმეში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობის შეთანხმების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-9 №-ი, მუხ. 84).

2. მე-II კარი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 10-ის დადგენილებისა „საქართველოს სსრ-ის სარწყავ რაიონებში სავალდებულო წესით მარტივ ჰიდროკულტურულ ღონისძიებათა (ჰიდრომინიმუმის) ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 78) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„II. ზემოაღნიშნულ ჰიდროკულტურულ ღონისძიებათა შესრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად“.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი რ. შოშხია.

1932 წ. დეკემბრის 4.

ტფილისი.

## ვაჭრობა. მომარაგება

### 34. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამინდევ გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

„სამინდევ გამოსაღების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საფქვავე, საფქვავე-საბურღავ, ბრინჯ-საჩენჩ და ზეთ-საბდელ საწარმოში შესული სამინდევ გამოსაღების უკანონო ხარჯვა გამოიწვევს საწარმოს პატრონ და მოიჯარე—კერძო პირისათვის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 122 მუხლის მიხედვით.

2. სამინდევ გამოსაღების წესების სხვაგვარი დარღვევა (გამოსაღების გადაუბღვენებლობა, სასყიდლის ფულად გადახდევინება, ერთი კულტურის მეორე უფრო ნაკლებფასიანი კულტურით შეცვლა და სხვა მისთ.) გამოიწვევს საწარმოს პატრონ და მოიჯარე—კერძო პირისათვის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის მიხედვით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 24 №-ი, მუხ. 264); ამასთანავე განმეორებით შემთხვევაში სასამართლოს შეუძლიან შეუფარდოს სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიების სახით ჯარიმა ნატურად გადასახდევინებელი სამინდევ გამოსაღების ღირებულების ათჯერადი რაოდენობით, ადგილობრივი სადამზადებლო ფასების კვალობაზე.

3. სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული გადასახდელი პირველად ჩადენილი დარღვევისათვის დაიდება სააღმინისტრაციო წესით ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების თანახმად.

4. სამინდევ გამოსაღების წესების დარღვევისათვის გადახდევინებული თანხებიდან 75% მიიქცევა სასოფლო-სამეურნეო საფქვავე საჭმის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ფონდში, ხოლო 25%—ადგილობრივ ბიუჯეტში.

5. სახელმწიფო, კოოპერატიულ და განსაზოგადოებული სექტორის სხვა საწარმოთა თანამდებობის პირნი სამინდევ გამოსაღების წესების დარღვევისათვის პასუხს აგებენ სისხლის სამართლის კოდექსის მე-III თავით გათვალისწინებულ თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ მუხლების კვალობაზე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოცია.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1932 წ. დეკემბრის 22.

ტფილისი.

**35. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.**

1933 წელს კარაქისა, რძისა და ყველის დამზადების შედეგები

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის დეკემბრის 19-ის დადგენილებისა და ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1932 წ. დეკემბრის 25 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს რძისა, კარაქისა და ყველის დამზადების არსებული სახელმწიკრულობო (საკონტრაქტაციო) სისტემა და შემოღებულ იქნეს ვიდასახადის წესით ყველა ინდივიდუალური მეურნეობისა და საკოლმეურნეო კომლისათვის, რომელსაც ჰყავს ძროხა, სახელმწიფოს განკარგულებაში რძის სავალდებულო ჩაბარება დაწესებულ სახელმწიფო ფასად.

2. დამტკიცებულ იქნეს 1933 წლისთვის რძის ჩაბარების ქვემომდევნო ნორმები ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისა და ცალკე საკოლმეურნეო კომლებისათვის იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც აქვთ რძის სასაქონლო ფერმები და არა აქვთ ეს ფერმები (ლიტრობით თვითეულ ძროხაზე წლიურად):

რ ა ა მ ე ბ ი	ინდივიდ. საგლეხო მეურნეობისათვის.	კოლმეურნეობისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ რძის სასაქონლო ფერმები	კოლმეურნეობისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ რძის სასაქონლო ფერმები.
<p>I ჯგუფი.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ახალქალაქისა</li> <li>2. ბოგდანოვკისა</li> <li>3. წალკისა</li> <li>4. ბაშკირეთისა</li> <li>5. ხევისა</li> <li>6. ბორჯომისა</li> <li>7. გარე-კაზეთისა</li> <li>8. დღმეთისა</li> <li>9. აღბულაბ-მანგლისისა</li> <li>10. ერწო-თიანეთისა</li> <li>11. ონისა</li> <li>12. ტფილისისა</li> <li>13. სამხ.-ოს. ავტ. ოლქი</li> <li>14. ახალციხისა</li> <li>15. ადიგენისა</li> <li>16. ტოლოშისა</li> <li>17. ბორჩალოს</li> <li>18. ლუქემბურგისა</li> <li>19. ყარაიასი</li> </ol>	150	100	70

რ ა ი ნ ე ბ ი	ინდივიდ. საგლეხო მეურნეობისათვის	კოლმეურნეობისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც არა აქვთ რძის სასაქონლო ფერმები	კოლმეურნეობისათვის იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც აქვთ რძის სასაქონლო ფერმები
<b>II ჯგუფი.</b>			
1. ამბროლაურისა 2. ჭოღურისა 3. გურჯაანისა 4. სიღნაღისა 5. თელავისა 6. ლაგოდეხისა 7. ჯვარისა 8. წალენჯიხისა 9. ჩხოროწყუსი 10. მარტვილისა 11. ფოთისა 12. აჭარის ტანის ავტ. სსრ	120	75	50
<b>III ჯგუფი.</b>			
1. ხუცდილისა 2. აფხაზეთის ავტ. სსრ 3. ხობისა 4. შიხევისა 5. ცაგერისა 6. ხორაგაულისა 7. ჭიათურისა 8. ვანისა 9. ბაღდადისა 10. კასპისა 11. გორისა 12. სტალინისისა 13. ხენაკისა 14. აბაშისა	100	65	45
<b>IV ჯგუფი.</b>			
1. ლანჩხუთისა 2. ჩოხატაურისა 3. ოზურგეთისა 4. ქუთაისისა 5. ჩხარისა 6. ზესტაფონისა 7. ოკრიბისა 8. ხონისა 9. სამტრედიისა	80	55	40

3. დაწესებულ იქნეს ინდივიდუალური მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ რძის ჩაბარების გეგმის აღსრულების შემდეგი საკალენდრო ვადები ამჟამადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული წლიური ნორმების პროცენტობით:

I კვარტალი . . . . .	20%	III კვარტალი . . . . .	25%
II " . . . . .	40%	IV " . . . . .	15%

4. დაწესებულ იქნეს რძის სასაქონლო ფერმებისათვის და კოლექტიური მეურნეობების განსაზოგადოებული ნახირისათვის 1933 წელს სახელმწიფოს განკარგულებაში რძის ჩაბარების ცალკეული გეგმა შემდეგი ნორმების მიხედვით (ლიტრობით თვითეულ ძროხაზე წლიურად):

რ ა ი ო ნ ე ბ ი	რ ა ი ო ნ ე ბ ი
<p>I ჯგუფი.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ახალქალაქისა</li> <li>2. ბოგდანოვიჩისა</li> <li>3. წალკისა</li> <li>4. ბაშვიშეთისა</li> <li>5. ხევისა</li> <li>6. ბორჯომისა</li> <li>7. გარე-ვახტისა</li> <li>8. დუშეთისა</li> <li>9. ალბულახ-მანგლისისა</li> <li>10. ერწო-თიანეთისა</li> <li>11. თნისა</li> <li>12. ტფილისისა</li> <li>13. სამა-ოსეთი, ავტ. ოლქი</li> <li>14. ახალციხისა</li> <li>15. ადიგენისა</li> <li>16. ტოლოშისა</li> <li>17. ბორჩალოსი</li> <li>18. ლესქემბურგისა</li> <li>19. ყარაიასი</li> </ol> <p style="text-align: right;">} 420</p>	<p>III ჯგუფი.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. აფხაზეთის ავტ. სსრ</li> <li>2. ზუგდიდისა</li> <li>3. ხობისა</li> <li>4. მცხეთისა</li> <li>5. ცაგერისა</li> <li>6. ზორაგელისა</li> <li>7. ჭიათურისა</li> <li>8. ვანისა</li> <li>9. ბაღდადისა</li> <li>10. კასპისა</li> <li>11. გორისა</li> <li>12. სტალინისისა</li> <li>13. სენაკისა</li> <li>14. აბაშისა</li> </ol> <p style="text-align: right;">} 270</p>
<p>II ჯგუფი.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ამბროლაურისა</li> <li>2. კოლერისა</li> <li>3. გურჯაანისა</li> <li>4. სიღნაღისა</li> <li>5. თელავისა</li> <li>6. ლავოდებისა</li> <li>7. ყვარლისა</li> <li>8. წალენჯიხისა</li> <li>9. ჩხოროწყუს</li> <li>10. მარტვილისა</li> <li>11. ფოთისა</li> <li>12. აჭარისტანის ავტ. სსრ</li> </ol> <p style="text-align: right;">} 350</p>	<p>IV ჯგუფი.</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ღანწუთისა</li> <li>2. ჩოხატაურისა</li> <li>3. ოზურგეთისა</li> <li>4. ქუთაისისა</li> <li>5. ჩხარისა</li> <li>6. ზესტაფონისა</li> <li>7. ოკრიბისა</li> <li>8. ხონისა</li> <li>9. სამტრედიისა.</li> </ol> <p style="text-align: right;">} 220</p>

5. წინადადება მიეცეს აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტე-

ტებს და საოლქო კომიტეტებსა—დააწესონ ამა დადგენილების მე-2 და 4 მუხლების შესაბამისად და გამოაქვეყნონ არა უგვიანეს 1932 წლის დეკემბრის 29-ისა რძის ჩაბარების რაიონობითი ნორმები; ამასთანავე, ზოგიერთ რაიონში შეიძლება უწყებულო რესპუბლიკისა და ოლქისათვის დაწესებული ნორმების გადიდება ან შემცირება—ისე კი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რესპუბლიკებისა და ოლქისათვის დაწესებული გეგმების საცესებით აღსრულება.

6. დაევალოს სასოფლო საბჭოებს ჩააბარონ არა უგვიანეს 1933 წლის იანვრის 10-ისა თვითეულ ინდივიდუალურ მეურნეს და კოლმეურნეს, რომელსაც ჰყავს ძროხა, რძის ჩაბარების ვალდებულება, ჩაბარების პუნქტის აღნიშვნით და ჩაბარებულ წლიური ნორმის თვეებზე დანაწილებით, რაიონებისათვის დადგენილი დამზადების კვარტალური გეგმების შესაბამისად.

დაევალოს სასოფლო საბჭოებს აწარმოონ ჩამბარებულების მიერ ვალდებულებათა აღსრულების აღნუსხვა.

7. რძის სასაქონლო ფერმებისა და განსაზოვადოებული ოთხფეხი საქონლის მყოფი კოლექტიური მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარების წლიურ, კვარტალურ და თვიურ გეგმებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო რაიონობით. რაიონებისათვის დამტკიცებული რძის ჩაბარების გეგმების დაყოფას აწარმოებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

8. მას, ვინც თავს აარიდებს რძისა, ყველისა ან კარაქის სახელმწიფოსათვის ჩაბარების ვალდებულებათა აღსრულებას, დამზადებელი ორგანიზაციების მოთხოვნისამებრ, დაედება სასოფლო საბჭოს მიერ ფულადი ჯარიმა ვალდებულების აღსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით; ამასთანავე, ვალდებულების აღსრულებელი ნაწილი გადახდევინებულ უნდა იქნეს უდავო წესით შემდგომ თვეში ამ თვის ჩაბარების ნორმის ვარზე.

9. იმ რაიონებში, სადაც არ არის ყველ-კარაქის ქარხნები, მოუხდელი რძის მწარმოებელი რაიონების გამოკლებით, ინდივიდუალური მეურნენი, კოლმეურნენი და კოლმეურნეობანი ვალდებულებებს ასრულებენ ერბოს ჩაბარებით შემდეგი ანგარიშის კვალობაზე: 1 კილოგრამი ერბო 25 ლიტრ რძეზე ან 1 კილოგრამი ყველი 9 ლიტრ რძეზე.

10. დაევალოს კარაქის ქარხნებს დაუბრუნონ რძის ჩამბარებლებს კარაქზე რძის გადამუშავების შემდეგ მიღებული ნარჩენი შემდეგი რაოდენობით: რძის სასაქონლო ფერმებს და იმ კოლმეურნეობებს, რომელთაც ჰყავთ განსაზოვადოებული ნაზირი, ჩაბარებული რძის წონის 50 პროცენტი, დანარჩენ მეურნეობებს—ჩაბარებული რძის წონის 35 პროცენტი.

11. ამა დადგენილების წესით რძისა, კარაქისა და ყველის დამზადება დაეკისროს მომარაგების სახალხო კომისარიატს—საქართველოს კარაქმრეწვის მეშვეობით და ცეკავშირს—საქართველო-ინველის მეშვეობით, ხოლო აფხაზეთის ავტ. სსრ-ში—აფკავშირს, რომელნიც მოაწყობენ ჩამბარებულებისაგან რძისა, კარაქისა და ყველის მიღებას: პირველი—ყველ-კარაქის ქარხნების მეშვეობით,

ხოლო ცეკავშირი და აფკავშირი—სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა და სამომხმარებლო კოოპერაციის ჩამომსხმელი პუნქტების მეშვეობით.

12. დაევალოს ყველ-კარაქის ქარხნების დირექტორებს და ვეფხისტყაოსნის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა თავმჯდომარეებს—აძლიონ პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით ის პირნი, ვინც შეეცდება ამა დადგენილებით დაწესებული ვალდებულების აღსრულების დროს ჩააბაროს მოხდილი და თვალსაზრისით ცივებული (ნარევით) რძე.

13. მოუხდელი რძის მწარმოებელ რაიონებში რძის დამზადებას ხელმძღვანელობას უწევს ცეკავშირი. მოუხდელი რძის მწარმოებელი რაიონების სივრცესა და ამ რაიონების განაწილებას დამზადებულთა შორის ამტკიცებს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი ცეკავშირთან ერთად.

14. დაწესებულ იქნეს 1933 წლის იანვრის 1-დან კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ ყველ-კარაქის ქარხნებისათვის ჩასაბარებელი რძის სადამზადებლო ფასი 15 კაპიკის რაოდენობით ლიტრზე.

15. აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და დამზადებელ ორგანიზაციებს დააკისრონ კოლმეურნეებს, ინდივიდუალურ მეურნეობებს და რძის სასაქონლო ფერმებს რძის ჩაბარების ვალდებულებანი იმ ფარგლებში, რაც აღმატება ამა დადგენილებით დაწესებულ ნორმებს. რძის ჩაბარების გეგმების პირნათლად შესრულების დროს მთელი ზედმეტი რძე დატოვებულ უნდა იქნეს თვით მეურნეობათა განკარგულებაში როგორც გაყიდვისა, ისე პირადი მომხარებისათვის.

16. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან ერთად დააწესოს საბჭოთა მეურნეობების ცალკეული შენაერთებისათვის საბელმწიფოს განკარგულებაში რძის ჩაბარების (მიწოდება) გეგმა და წარმოუდგინოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისარიატს საბჭოს დასამტკიცებლად.

17. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს გაანაწილოს რაიონები დამზადებელ ორგანიზაციებს შორის და წარმოუდგინოს ეს განაწილება საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს საბჭოს დასამტკიცებლად.

18. მიენდოს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს 5 დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატს საბჭოს დასამტკიცებლად ცირკულარი სსრ კავშირის სახალხო კომისარიატს საბჭოს და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის დეკემბრის 19-ის დადგენილებისა და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატს საბჭოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის განხორციელების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის. მდივანი ლ. ბერია.

1932 წ. დეკემბრის 26.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 299 №-ში 1932 წ. დეკემბრის 27.

## კავშირგაბმულობა

## 36. დადგენილება ს.კ.ს.



ნათურიანი მიმღებებისა, რადიოტრანსლაციის კვანძებისა და მიმღებ-გადამცემი რადიოსადგურების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ.

„რადიოდანადგამთა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. შემოღებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნათურიანი მიმღებებისა, რადიოტრანსლაციის კვანძებისა და მიმღებ-გადამცემი რადიო-სადგურების სავალდებულო რეგისტრაცია.

2. რეგისტრაცია განხორციელებულ იქნეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის 1932 წ. იანვრის 29-ის ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

3. სავალდებულო წესით დარეგისტრირებულ უნდა იქნეს:

ა) ყოველი ნათურიანი რადიომიმღები გამაძლიერებელი სანათურო გამართულობით, რაც საქართველოს სსრ მოქალაქეთ ეკუთვნის;

ბ) რადიომიმღებები (დეტექტორიანი და ნათურიანი), რაც უცხოეთის მოქალაქეთ და უცხოეთის დაწესებულებათ; საწარმოთ და ორგანიზაციათ ეკუთვნის და საქართველოს სსრ ტერიტორიაზეა.

შენიშვნა. დეტექტორიანი მიმღებები, რაც საბჭოთა კავშირის მოქალაქეთ ეკუთვნის, განთავისუფლებულია რეგისტრაციისაგან.

4. რადიოდანადგამთა რეგისტრაცია სწარმოებს უსასყიდლოდ.

5. პასუხისმგებლობა რეგისტრაციით რადიოდანადგამების მთლად მოცივისათვის დაეკისროს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს.

6. რადიოდანადგამებისა და სატრანსლაციო გამართულობების პატრონნი მოვალენი არიან დაუბრკოლებლად მიუშვან კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის კონტროლორები როგორც დანადგამებისა, გამართულობებისა და მათი დამხმარე გაწყობილობის ტექნიკურ გამოსაკვლევად, ისე სარეგისტრაციო და სანებართვო დოკუმენტების შესამოწმებლად.

7. ამა დადგენილებისა და რეგისტრაციის წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 208 და 208<sup>1</sup> მუხლების თანახმად.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი რ. შომაზია.

## კომუნალური და საბინაო მუხრანობა

### 37. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საბინაო-სახანტარო ნორმის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საცხოვრებელი ფართობის ნორმად (საბინაო-სახანტარო ნორმად) ყველა მოქალაქისათვის დაწესებულია: ქ. ტფილისსა, ქუთაისსა და გორში—ათი კვადრატული მეტრი, ზოლო დანარჩენ ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში—თორმეტი კვადრატული მეტრი სულზე.

2. იმ სოფლებში, რომელნიც სარაიონო ცენტრებს წარმოადგენენ, საცხოვრებელი ფართობის ნორმების დაწესების უფლება ეძლევა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ისე კი, რომ ეს ნორმები არ აღემატებოდეს რვა კვადრატულ მეტრს სულზე.

3. განსაკუთრებულ კანონში აღნიშნულ მოქალაქეთ 1-ლი და მე-2 მუხლით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობის ზედმეტად მოცემათ დამატებითი საცხოვრებელი ფართობი—ცალკეული ოთახი ან ოთახსშიგნითი ფართობი ათი კვადრატული მეტრის რაოდენობით (საქ. სსრ კან. სრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 40).

4. დაწესებულებათა და საწარმოათვის თვითთელი თანამშრომლის ნორმად დაწესებულია 4,5 კვადრატული მეტრი.

საბჭოთა დაწესებულებასა და საწარმოში, ამა მუხლით გათვალისწინებული ნორმის ზედმეტად, ამ დაწესებულების თუ საწარმოს სათავეში მდგომი პირისათვის შეიძლება გამოიყოს კაბინეტი ფართობით თხუთმეტ კვადრატულ მეტრამდე.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

### 38. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კომუნალური საცხოვრებელი ფონდის თაობაზე გამოცემული დადგენილებების 1-ლი მუხლის შეცვლისა და იმავე დადგენილებასათვის 7<sup>1</sup> მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

კომუნალური საცხოვრებელი ფონდის შესახებ 1930 წლის დეკემბრის 20-ის თარიღით გამოცემულ დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 14 სესიონი, მუხ. 5; 18 №-ი, მუხ. 191) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. შესავალი ნაწილი და 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეთა საბინაო საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით, უფლება მიეცეს დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს აიღონ აღნუსხვაზე კერძო მფლობელობის სახლებში, სადაც ოთხ ოთახზე მეტია, და ჩარიცხონ კომუნალურ საცხოვრებელ ფონდში: ტფილისში—სასარგებლო საცხოვრებელი ფართობის არა უმეტეს 33%-ისა, ბათუმსა, ქუთაისსა და ფოთში—არა უმეტეს 25%-ისა, ხოლო დანარჩენ ქალაქებში—არა უმეტეს 15%-ისა.

აღნიშნული ჩამორთმევა დაწესდება ზემოხსენებული აღმასრულებელი კომიტეტების და საქალაქო-საბჭოების სავალდებულო დადგენილებით.“

2. დავმატოს 7<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„7<sup>1</sup>. კომუნალური საცხოვრებელი ფონდის საცხოვრებელი ფართობი, რაც განთავისუფლდება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო თავმჯდომთა შედგენილობის პირის ან მასთან მცხოვრები მისი ოჯახის წევრის სხვაგან წასვლის გამო; გადავა გარნიზონის უფროსის განკარგულებაში, და ჩასაბლება მოხდება ამ უკანასკნელის წინადადებისამებრ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

### 39. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საცხოვრებელი სადგომების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ის დეკრეტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-

ის მკერეტი საცხოვრებელი სადგომების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20; 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 14; 1929 წ. მე-2 მუხ. 15; მე-9 №-ი, მუხ. 81; 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 221; 22 №-ი, მუხ. 235; 24 №-ი, მუხ. 254 და 255; 1932 წ. 20 №-ი, მუხ. 167) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. შაზარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

#### 40. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების განაწილება და ხარგებლობის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების განაწილებისა და ხარგებლობის წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 7-ის დადგენილების შესავალ ნაწილში (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-3 №-ი, მუხ. 41) გამოტოვებულ იქნეს მინიშნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ის დეკრეტზე „საცხოვრებელი სადგომების შეგებებზე“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20), რისთვისაც ამოიშალოს ფრაზა, დაწყებული სიტყვებით: „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა“... და გათავებული სიტყვებით: „განსავითარებლად და“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. შაზარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.



### 41. დადგენილება ს.კ.ს.

„სარეწაო კოოპერატიული არტელების და ამხანაგობებისა და მრეწველების და ხელოსნებისათვის სადგომების დაქირავების შედეგათების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლისათვის „დ“ პუნქტის დამატების შესახებ.

„სარეწაო კოოპერაციის წარმოებრივ საწარმოთა მიერ დაპერილი სადგომების სავაჭრო სადგომთა კატეგორიაში გადარიცხვის აკრძალვის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 78 №-ი, მუხ. 480), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

„სარეწაო კოოპერატიული არტელების და ამხანაგობებისა და აგრეთვე შინამრეწველების და ხელოსნებისათვის სადგომების დაქირავების შედეგათების შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილების 1-ლ მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 247) დაემატოს „დ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს...]

„დ“ არ გადარიცხონ ზოლზე, საიჯარო ფასის ვადილების მიზნით, სავაჭრო სადგომთა კატეგორიაში ის სადგომები, რაც ვაქირავებულია სარეწაო კოოპერაციაზე მის წარმოებრივ საწარმოთა მოსათავსებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი ჩ. შომახია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ 14 №-ში 1933 წ. იანვრის 16.

### 42. დადგენილება ს.კ.ს.

„უმალღები ხასწავლებლების ხტუდენტთა ხაერთო საცხოვრებლებში ცხოვრებისათვის გადასახდევინებელი ხასყიდლის თაობაზე“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-5 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

„სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი; მუხ. 251), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

„უმალღესი სასწავლებლების სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში ცხოვრებისათვის გადასახდევინებელი სასყიდლის შესახებ“ გამოცემულ საკანონმდებლო სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 14-ის დადგენილების მე-5 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-20 №-ი, მუხ. 173) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„შენიშვნა. სტუდენტთა ქალაქის სამმართველოს გამგებლობაში მყოფი საერთო საცხოვრებლის სარგებლობისათვის გადახდევინებული სასყიდლის თანხები გადაირიცხება აღნიშნული სამმართველოს ანგარიშზე“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. დეკემბრის 21.

ტფილისი.

## შ რ ო მ ა

### 43. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად ბარიტის მრეწველობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელის რაოდენობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს, რომ შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად ბარიტის მრეწველობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელი შრომის ბეგარის თვითველი დღისთვის, რაც მათზე მოდის, არ უნდა აღმატებოდეს მათი მამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს.

2. ამისდა შესაბამისად „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ“ გამოცემულ 1930 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილების მე-7 მუხლის „დ“ პუნქტის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 22) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამასთანავე, შრომის ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად სარკინისგზო ტრანსპორტის მუშების და მოსამსახურეების და ბარიტის მრეწველობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელი შრომის ბეგარის თვითველი დღისთვის, რაც მათზე მოდის, არ უნდა აღმატებოდეს მათი მამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი ს. თოდრაია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

გამოტყვევებულია გაზ. „კომუნისტის“ 12 №-ში 1933 წ. იანვრის 14.



#### 44. დადგენილება ს.კ.ს.

კადრების მომზადებელი სასწავლებლების სასტაციონარო ქსელის საკონტროლო აღნუსხვის მასალების წარდგენის უზრუნველყოფა ღონისძიებათა შესახებ\* ა/კსუსს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1932 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილების (ოქმი № 18) შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დავეალოს კადრების მომზადებელ სასტაციონარო ტიპის ყველა სასწავლებელს, იმის მიუხედავად, თუ ვის ექვემდებარება იგი, წარადგინოს 1933 წ. იანვრის 3-მდე სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულად გამოყოფილი ქალაქის საქალაქო საბჭოსთან არსებულ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ინსპექტურაში ცნობები საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს იმ სასწავლებლების მიმართ, რომელნიც არ წარადგენენ საკონტროლო აღნუსხვის მასალას აღნიშნულ ვადაზე, მიიღოს, სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მიერ შეტყობინებისას, საფინანსო ზედმოქმედების ღონისძიებანი საადმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებისათვის კრედიტების გახსნის შეჩერების ფორმით, სამუშაო ხელფასის კრედიტების ან უკვე გახსნილი კრედიტების გაცემის შეჩერების გამოკლებით.

3. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომაბია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.



## ჯანმრთელობის დაცვა

45. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

„საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების თაობაზე“ გამოცემული ხრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

### I.

საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების შესახები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-4 №-ი, მუხ. 42) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეზოებისა და სადგომების (საცხოვრებელი, სასაწყობო, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების მიერ დაკერილი და სხვა მისთ.) დერატიზაცია მოხდება პატრონის ხარჯზე განიხრული სასყიდლით, რომლის ზღვრულ რაოდენობასაც აწესებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი; დერატიზაციას აწარმოებენ. ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების მეთვალყურეობით და კონტროლით, ქვეყნის დაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების (საქ. ავიაქიმის) სადერატიზაციო რაზმები“.

### II.

წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუთანხმონ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის ახალ რედაქციას ამავე დადგენილების 1-ლი მუხ. შესასრულებლად გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. ვაგია.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი ხ. თოდრია.

1932 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი.

გამოკვეთებულია ვახ. „კომუნისტის“ 12 №-ში 1933 წ. იანვრის 14.

## 46. დადგენილება ს.კ.ს.



კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილებზე სასანიტარო დაცვის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილების სამთო-სასანიტარო დაცვის შესახებ.

2. მიენდოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. გოგია.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. დეკემბრის 21.

ტფილისი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილების სამთო-სასანიტარო დაცვის შესახებ.

1. კურორტებისა და სამკურნალო მნიშვნელობის ადგილების სამთო-სასანიტარო დაცვის მიზანია კურორტებისა და სამკურნალო ადგილების ფიზიკურ თვისებათა და ბუნებრივ სიმდიდრეთა უცვლელად შენახვა და გაფუჭებისაგან დაცვა.

2. სამთო-სასანიტარო დაცვის გამგებლობას ექვემდებარება:

ა) მინერალური და მტკნარი წყლების წყაროები, ტბები და ზღვის სანაპირო ზოლები;

ბ) კლიმატური სადგურების რაიონები (ზღვისპირული, სამთო და სატყეო);

გ) წყალთა სიერცხეები, მიწის წილები, ტყის მასივები, ბალახ-მცენარეულობა და სხვა მისთ. „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ რაიონებში.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნით თვითიური კურორტისა და სამკურნალო ადგილისათვის არსდება სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქი თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. თებერვლის 2-ის დეკრეტისა „საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო ადგილების (კურორტების) შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. 1-ლი №-ი, 1-ლი ნაწ., მუხ. 2) ზონებზე დანაწილებით დაცვის მნიშვნელოვანობის მიხედვით.

სამთო-სასანიტარო დაცვის საზღვრებს აწესებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (სა-

ქართველოს სსრ-ში) შეთანხმებით და ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქის ფარგლებში, განსაკუთრებით ნებართვის გარეშე თვითთულ ცალკე შემთხვევაში, აკრძალულია ესა თუ ის მიწის მუშაობა (როგორც ზედაპირული, ისე სამიწისქვეშეთო: კა-ბურღვლების ამოღება, ქვის ტეხვა, თიხისა, ქვიშისა და სხვა უბრალო წიაღისეულის ამოღება, ქვიშისა და ხრეშის ამოღება პლატებზე, ტყისა და, საერთოდ, ხის ნარგავების მოჭრა (გარდა ტყის სანიტარიზაციის მიზნით გაკაფვისა სატყეო ორგანიზაციების უაშკიკებელი გეგმების თანახმად), გაუტეხავი მიწის მოხვნა, შერობების აგება, საფაბრიკო-საქარხნო და სამრეწველო საწარმოთა გახსნა, აბანოებისა, სამრეცხველოებისა, საბანაოებისა, სასაკლაოებისა და სხვა მისთ. მოწყობა; მდინარეებზე, რუებზე, წყაროებზე, ლიმანებზე და ტბებზე საგუბრებისა და აუზების გამართვა; ნავთსაყუდლების გამართვა; ახალი გზების და სარელსო გზების გაყვანა და, საერთოდ, ყველა იმის მოწყობა, რასაც ასე თუ ისე შეუძლიან რაიმე გავლენა იქონიოს უწყებულ ადგილის სამკურნალო საშუალებათა მდგომარეობაზე.

შენიშვნა. იმ სამუშაოთა ნუსხა, რის წარმოებაც აკრძალულია სათანადო ნებართვის გარეშე, დაწესებულ უნდა იქნეს მე-3 მუხლში აღნიშნული თვითთულ ზონისათვის ამა დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული წესისამებრ;

5. აღნიშნული ამოცანების აღსრულება ეკისრება კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის კომისიებს და აგრეთვე: ა) სამთო-სასანიტარო ზედამხედველობის საკურორტო კონტროლორებს; ბ) კურორტების დირექტორებს და გ) ჯანმრთელობის სათანადო ორგანოებს სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილებში, ამა დებულების შესაბამისად.

6. სამთო-სასანიტარო დაცვის კომისიის მოქმედების სავანს შეადგენს:

ა) შეიმუშავოს სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქების საზღვრების და ზონებისა და მათ ცვლილებათა პროექტები;

ბ) შეადგინოს თვითთული სამთო-სასანიტარო დაცვის ზონისათვის აღმკრძალავ ღონისძიებათა ნუსხა;

გ) შეიმუშავოს სამთო-სასანიტარო დაცვის ზაზით პროექტები სავალდებულო დადგენილებებისა, რაც უნდა გამოსცენ საკურორტო სამმართველოებმა გამოცალკეებულ კურორტებისათვის და სარაიონო საბჭოებმა—ყველა სხვა კურორტებისათვის;

დ) განიხილოს განცხადებანი ნებართვის მიცემის შესახებ—შებლდვით თუ უამისოდ—სხვადასხვა სამშენებლო და მიწის სამუშაოების საწარმოებლად კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის რაიონებში;

ე) აწარმოოს კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ამოცანების პოპულარიზაცია და ჩააბას ფართო საზოგადოებრიობა ამ ამოცანების განხორციელების საქმეში—მობხენებებისა, ლექციებისა, საუბრებისა, გამოყენებისა და მუ-

ზეუმების მოწყობით; გამოსცეს ფურცლები და პლაკატები; აღძვრას საკითხი საჩვენებელი პროცესების მოწყობის შესახებ სამთო-სასანიტარო და ცივილიზაციის დარღვევის საქმეებზე და სხვა მისთ.

7. სამთო-სასანიტარო დაცვის კომისიაში წედიან:

1) კურორტის დირექტორი და მისი მოადგილე; 2) ჯანმრთელობის სარაიონო ინსპექტორი; 3) სამთო-სასანიტარო დაცვის საკურორტო კონტროლორი; 4) კურორტის სასანიტარო ექიმი; 5) კურორტის სამეცნიერო-საკვლევო სამუშაოთა გამგე; 6) კურორტის ინჟინერი; 7) გეოლოგიური პარტიის უფროსი; 8) ადგილობრივი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან ადგილობრივი საქალაქო თუ სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი; 9) სამთო ზედამხედველობის წარმომადგენელი; 10) სატყეო და საადგილმამულო ორგანოების წარმომადგენელი და 11) პროფესიონალური კავშირების აგილობრივი შენაერთის წარმომადგენელი.

8. კომისიების თავმჯდომარენი არიან:

საერთო-სახელმწიფოებრივ კურორტზე—კურორტის დირექტორი, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კურორტზე და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილას—ჯანმრთელობის სარაიონო ინსპექტორი ან მისი მოადგილე—სასანიტარო ექიმი.

კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ჩაიბას კომისიის მუშაობაში მცოდნე პირნი და დაწესებულებანი.

ცალკეული საკითხების განხილვის დროს მიიწვევიან დაინტერესებული დაწესებულებები და ორგანიზაციები.

9. კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის კომისია მოიწვევა თავში ერთხელ მაინც. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს მოიწვიოს კომისია ვადამდე და უფრო ხშირადაც ადგილობრივი პირობების მიხედვით.

10. იმ პირს, დაწესებულებას და უწყებას, რომელსაც სურვილი აქვს ჩაატაროს სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქის ფარგლებში რაიმე სამუშაო, რაც ჩამოთვლილია მე-4 მუხლში, შეაქვს სამთო-სასანიტარო დაცვის კომისიის თავმჯდომარის სახელზე განცხადება—განზრახულ სამუშაოთა ზედმიწევნითი გეგმით და განმარტებითი წერილით აღნიშნულ სამუშაოთა დაწყება სსენებულ პირს, დაწესებულებას თუ უწყებას შეუძლიან მხოლოდ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოქმის ამონაწერის მიღების შემდეგ.

11. სამთო-სასანიტარო დაცვის ორგანო აჩერებს სათანადო ნებართვის გარეშე ვისგანმე დაწყებულ, მე-4 მუხლში აღნიშნულ, სამუშაოებს და პასუხისგებაში აძლევს დამნაშავეთ სასამართლო წესით.

12. მილიციის ორგანოები ყოველგვარ დახმარებას უწევენ სამთო-სასანიტარო დაცვის კომისიებს როგორც მინერალურ სიმდიდრეთა და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილთა დაცვის, ისე ამ სიმდიდრეთა და ადგილთა სასანიტარო კეთილმდგომარეობის დაცვისათვის დადგენილი წესების ზედამხედველობის/ ხაზით.

13. სამთო-სასანიტარო ზედამხედველობის ფუნქციების ტექნიკური აღსრულებისათვის საკურორტო სამმართველოსთან საერთო-სახელმწიფო ფუნქციონირებაზე და ჯანმრთელობის ინსპექტორებთან ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კურორტებზე და სამკურნალო მნიშვნელობის მქონე ადგილებზე არსდება თანამდებობიანი სამთო-სასანიტარო ზედამხედველობის კონტროლორებისა, რომელნიც მოქმედობენ განსაკუთრებული ინსტრუქციის თანახმად. ამის გარდა, სამთო-სასანიტარო დაცვის შესახები კანონებისა და განკარგულებების აღსრულების შესამოწმებლად მიიწვევიან სასანიტარო ინსპექტორები, რომელნიც მოქმედობენ სასანიტარო ზედამხედველობის ინსპექტორების შესახებ არსებული დებულების შესაბამისად.

14. სამთო-სასანიტარო ზედამხედველობის კონტროლორებს პნიშნავს მთავარი საკურორტო სამმართველო.

15. საერთო ზედამხედველობას საქართველოს სსრ კურორტების სამთო-სასანიტარო დაცვის ოლქების მიმართ და სამთო-სასანიტარო დაცვის შესახები კანონების და განკარგულებების აღსრულების შემოწმებას ახზორციელებს მთავარი საკურორტო სამმართველოს საკურორტო ინსპექტორი.

16. ინსტრუქციას სამთო-სასანიტარო ზედამხედველობის კონტროლორებისა და საკურორტო ინსპექტორის უფლება-მოვალეობათა შესახებ გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) შეთანხმებით.

17. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის და სათანადო შტატის შენახვისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მთავარი საკურორტო სამმართველო.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიათა საბჭოს და ეკონომიკური  
საბჭოს საქმეთა მმართველობა

საქართველოს  
ზოგადი ინფორმაცია

დაიბეჭდა:

საქართველოს სოფ. სბჭ. რესპუბლიკის  
სახალხო საგარეო კომისია

ცელილებით 1932 წ. დეკემბრის 31-მდე

ფასი 1 მან. 50 კაპ.



დ ე გ უ ლ ე გ ა

სასოფლო საზოგადოებრივი სასაგარეო ურთიერთობების  
უბიურო

ცელილებით 1932 წ. დეკემბრის 31-მდე

ფასი 25 კაპ.

იჭიდავა საქ. სახელგამის მალაზიებში

ფასი 60 კაპ.